# შირაქი
SHIRAKI
გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი
№15(9.925)
16-23 მაისი 2020 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

## საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს სასურსათო კალათები დაურიგდათ

გვ. 2



## საგანგებო მდგომარეობა 22 მაისის შემდეგ აღარ გახანგრძლივდება

საგანგებო მდგომარეობა 22 მაისის შემდეგ აღარ გახანგრძლივდება, თუმა გარკვეული შეზღუდვები კვლავ დარჩება - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„საქართველოს მთავრობამ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ღრმა ანალიზის შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება, 22 მაისის შემდგომ პრეზიდენტს და შესაბამისად, პარლამენტს აღარ მიმართოს საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივების გაგრძელების მიზნით", - განაცხადა გახარიამ.

# სოფლის მეურნეობა დახმარების მოლოდინში



კორონავირუსის პანდემიის დროს მთავრობა სოფლის მეურნეობას 300 მლნ ლარით დაეხმარება, რაც 100 მლნ ლარით მეტია ტურიზმის სფეროსთვის გამოყოფილ თანხაზე. სოფლის მეურნეობისგან განსხვავებით ტურიზმი პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა, თუმცა პრემიერმა გიორგი გახარიამ ანტიკრიზისული გეგმის წარდგენამდე თქვა, რომ აგროპროდუქტების წარმოება ამ პერიოდში ყველა მოქალაქისთვის მგრძნობიარე საკითხი აღმოჩნდა.

0,25 ჰა-დან 10 ჰა-მდე დარეგისტრირებულ მიწის მფლობელებს სახელმწიფო 1 ჰა ტერიტორიაზე 200 ლარით დაეხმარება. ფერმერს თანხის გამოყენება შეეძლება მხოლოდ სპეციალიზებულ აგრომაღაზიებში. ამ თანხით შესაძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეძენა, მათ შორის სათესლე და სარგავი მასალების, სასუქისა და აგროქიმიკატების. მთავრობა ამბობს, რომ, ჯამში, დახმარებას მიიღებს 200 ათასი ფერმერი, კორონავირუსის პანდემიის გამო სოფლის მეურნეობის დარგისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფული 300 მილიონი ლარია, რომელიც სხვადასხვა სახის დახმარებას ითვალისწინებს.

ჩვენ ადგილობრივ მცირემიწიან ფერმერებს ვკითხეთ, რამდენად დააზარალა ისინი პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა და როგორ შეაფასებენ სოფლის მეურნეობის დარგის სუბსიდირებას.

გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ დახმარება დროულია და მათ მეურნეობას გააძლიერებს, ფერმერთა ნაწილის აზრით კი, დახმარება დაგვიანებულია, რადგან ერთწლიანი კულტურების დიდი ნაწილი, წესით, უკვე დათესილი უნდა იყოს:

**„თუკი ვინმე რამეში დაგეხმარება, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, კარგია";**

**„მე მაქვს 5 ჰექტარი, სადაც მომყავს ხორბალი, სიმინდი. მაქვს ვენახი. საკმარისი არ არის, თუმცა ეს თანხა მნიშვნელოვნად წაადგება ჩემს საქმეს";**

**„მე წელს 1200 ლარი დავხარჯე და 200 ლარი უშველის**

*/გაგრძელება გვ.3/*

„წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც დილიდან საღამომდე თავაუღებლად მუშაობს, სიღატაკე, გაცუდებული მომავალი, საღამოობით დუმილი მაგიდის გარშემო; ასეთ სამყაროში სიხარულისთვის ადგილი არ მოიძევება".

ალბერ კამიუ

C M Y K

# საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს სასურსათო კალათები დაურიგდათ

14 მაისიდან  დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის სასურსათო კალათების დარიგების პირველი ეტაპი დაიწყო. ცნობილია, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით 11 დასახელების არამალფუჭებად საკვებს, მათ შორის მაკარონს, წიწიბურასა და რძეს 889 აღსაზრდელი საჩუქრად მიიღებს.

„სამომხმარებლო კალათების დარიგება დღეს დილიდან აქტიურად მიმდინარეობს. სოფლებში თითოეულ აღსაზრდელს ამ საჩუქარს სახლში ბაღების გაერთიანების თანამშრომლები და მერიის წარმომადგენლების თავად მიუტანენ. რაც შეეხება ქალაქ დედოფლისწყაროს, აქ 4 ბაღში გადანაწილდება ეს პროდუქცია, სადაც მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ დისტანციის დაცვით, მათთვის განკუთვნილი სასურსათო კალათა წაიღონ“, - ამბობს დედოფლისწყაროს მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

საბავშო ბაღების აღსაზრდელებისთვის სასურსათო კალათებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 40 ათასი ლარი გამოიყო.



# ეპიდმდგომარეობა კახეთსა და საქართველოში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით, 15 მაისის მდგომარეობით, დედოფლისწყაროში თვითიზოლაციაში იმყოფება 1 პირი. 11 ადამიანის ნიმუში გადაგზავნილია ლუგარის ცენტრში.

კახეთში ეპიდსიტუაცია კვლავ სტაბილურია. 15 მაისის მდგომარებით ჩოვიდ-19 -ის არცერთი ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა არ რეგისტრირდება. თვითიზოლაციაში იმყოფება 17 მოქალაქე. 18 მოქალაქე მოიხსნა თვითიზოლაციიდან. რაც შეეხება კარანტინის სივრცეებს, 10 ლოკაციაზე იმყოფება 406 მოქალაქე. ნიმუშების აღება გრძელდება როგორც ცხელების კლინიკებიდან, ასევე კარანტინის სივრცეებიდან. ასევე მიმდინარეობს გაფართოებული ანუ მიზნობრივი ტესტირების ფარგლებში მაღალი რისკის ჯგუფების ტესტირებაც, კერძოდ სამედიცინო პერსონალი, ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენლები, შშმ პირების და მოხუცებულთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელები, საერთაშორისო გადაზიდვების მძღოლები, კარანტინში მყოფი პირები, საბაჟოს თანამშრომლები. 14 მაისს აღებული და გაგზავნილი იქნა ლუგარის ცენტრში 117 ნიმუში. 103 ნიმუშის ტესტირების შედეგი ცნობილია და ნეგატიურია. დანარჩენი ნიმუშის შედეგები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. სულ კახეთის რეგიონში აღებული და ლუგარის ცენტრში გაგზავნილია 2603 ნიმუში, აქედან 915 მედპერსონალია, 784 კარანტინი, საბაჟოს თანამშრომელი -74, შშმ პირი - 110. 15 მაისის მონაცემებით საქართველოში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევათა რაოდენობაა - 671. მათ შორის გამოჯანმრთელებულია - 393, გარდაცვლილი კი - 12, კარანტინის რეჟიმშია - 3873, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 404, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობაა - 3.

# როგორ ხვდებიან სილამაზის სალონები ახალ რეგულაციებს

***„მოსალოდნელია ფასების გაზრდა, არა მხოლოდ ქირის გადასახადის გამო, არამედ კიდევ იმიტომ, რომ რეგულაციებმა გამოიწვია სალონებისთვის დანახარჯების გაზრდა. შესაბამისად, აუცილებლად გაძვირდება მომსახურებაც“,-ამის შესახებ „პალიტრანიუსის” ეთერში სილამაზის სალონების ფედერაციის პრეზიდენტმა,*** თამუნა შარაშენიძემ ***განაცხადა.***

საქართველოს მთავრობის მიერ დაანონსებული გეგმის მიხედვით, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნას ეხება, სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრების ამუშავება მეოთხე ეტაპზე უნდა მოხდეს. ქვეყნის მასშტაბით მოქმედი კომპანიების შემოწმება კი უკვე იწყება. იმისთვის, რომ მათ საქმიანობის უფლება მიეცეთ, უნდა აკმაყოფილებდნენ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებს.

კონკრეტულად სილამაზის სალონებთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები დამტკიცებული არ აქვს. ამიტომ, თამუნა შარაშენიძის თქმით, ამ დაწესებულებებზე პრევენციის ზოგადი რეკომენდაციები ვრცელდება. შარაშენიძე აცხადებს, რომ სილამაზის სალონებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი და ამიტომ რეგულაციები საჭიროებს კიდევ უფრო მეტ დაზუსტებას.

**„მაგალითად, ნიღბით და ხელთათმანით მომხმარებლის შესვლა, როგორ უნდა მოემსახურონ ნიღბიან მომხმარებელს მაგალითად კოსმეტოლოგები, ვიზაჟისტები, წვერის მოვლისა და მანიკურის შემთხვევაში როგორ უნდა მოხდეს ეს და ა.შ. ძალიან ბევრი ნიუანსია და ბევრი შეკითხვა დაისმის [სალონებისგან]. ასევე დაბნეული არიან, ვის და ვის შორის უნდა იყოს დაცული 2-მეტრიანი დისტანცია. ძალიან ბუნდოვანია ის საკითხიც, რამდენი ადამიანის ერთად ყოფნა არის შესაძლებელი ერთ სივრცეში. ზოგს 10კვ.მ. სალონი აქვს და ზოგს კი 200-300 კვ.მ. დიდი ფართის ქირაობა გაცილებით ძვირი ღირს, დამეთანხმებით, და შესაბამისად, 3 ხელოსნით ვერ მოიტან იმდენ შემოსავალს, რომ ამხელა ქირა გადაიხადო. ეს ყველაფერი ძალიან ბევრ დაზუსტებას მოითხოვს“, -** ამბობს სალონების ფედერაციის პრეზიდენტი.

როგორც ის ამბობს, სალონების მფლობელების/მენეჯერების მხრიდან ძალიან ბევრი კითხვა დაისმის. ფედერაციას მონიშნული აქვთ ყველა ეს საკითხი და აქვს სურვილი, რომ ეს მოსაზრებები გაუზიაროს მათ, ვინც აღნიშნულ რეკომენდაციებზე მუშაობს.

**„ყველაზე მეტად ადამიანების რაოდენობის დაზუსტება გვინდა, რამდენ კვადრატულ მეტრზე რამდენი ადამიანის ერთდროულად ყოფნა იქნება შესაძლებელი. ასევე, საუბარია ძვირადღირებული თერმომეტრების შეძენაზე, რომელიც 300 ლარი ღირს. იგივე დეზობარიერები, რომელიც 200 ლარი ღირს. 3 თვის განმავლობაში დახურული სალონების შემთხვევაში ძალიან რთულია ამხელა ფინანსური დანახაჯების ერთბაშად გაღება. თუმცა, თუ ეს იქნება ისეთი მოთხოვნა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით, უნდა შევასრულოთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია იმ რეგულაციების დაკონკრეტება, რომელთა დაცვის შემთხვევაში მუშაობა შეუძლებელი იქნება“,-** ამბობს თამუნა შარაშენიძე.კითხვაზე-აუვა თუ არა სალონები პირველ ეტაპზე მომსახურების მიღების ყველა მსურველს? ის პასუხობს, რომ „თუ რეგულაციები მოგვცემს საშუალებას, რომ სრული დატვირთვით ვამუშაოთ ხელოსნები სალონებში, მაშინ ავუვალთ”.

შეგახსენებთ, რომ 18 მაისიდან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სილამაზის სალონები მუშაობას განაახლებენ.



# ახალი რეკომენდაციები სალონებს

***სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ძირითად რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ რიგებისა და ადამიანთა თავშეყრის თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებებმა მომხმარებელთა მიღება წინასწარი დაჯავშნის სისტემის გამოყენებით იმგვარად უნდა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს ობიექტის შიდა სივრცეში მომხმარებელთა მოცდა. ამავე რეკომენდაციების თანახმად, საერთო სივრცეში 5 კვ.მ-ზე დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ ერთი მომხმარებელი და ეს ფართი ასევე მოიცავს ერთ მომხმარებელზე ერთ მომსახურე პერსონალს. ასევე, თითოეულ სამუშაო უბანს შორის დაცული უნდა იყოს მინიმუმ ორმეტრიანი დისტანცია. ხოლო თუ ეს ვერ ხერხდება, სივრცეების იზოლაციისთვის შესაძლებელია ისეთი ბარიერების გამოყენება (მოძრავი კედლები/შირმა და ა.შ.), რომელიც ექვემდებარება რეცხვა-დეზინფექციას.***

სამუშაოს დაწყებამდე სალონებმა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრებმა, რომელთაც ჰყავთ 20 და მეტი დასაქმებული, უნდა განახორციელონ დასაქმებულების/ვიზოტორების ყოველდღიური თერმოსკრინინგი ობიექტზე შესვლის წინ; ასევე, შესასვლელებში უნდა განათავსონ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებული ნიშნის მითითებით. იმ შემთხევაში, როდესაც პროცედურა ითვალისწინებს მოცდის პერიოდს, განისაზღვროს კონკრეტული ადგილი მომხმარებლის განსათავსებლად, რომელიც დაშორებული იქნება არანაკლებ 2 მეტრის დისტანციით სხვა პირებისგან; ანგარიშსწორებისას უპირატესობა უნდა მიანიჭონ ბარათით გადახდას. გარდა ამისა, რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ რიგის თავიდან ასაცილებლად, მომხმარებელი მომსახურების მისაღებად დათქმულ დროსა და ადგილზე უნდა გამოცხადდეს. ასევე მას უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალები. სავალდებულოა ნიღბის გამოყენება; მომსახურების სივრცეში შესვლისთანავე უნდა ჩაიტაროს ხელის ჰიგიენა, დაიცვას ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული წესები და პრევენციული ნორმები. იმ შემთხვევაში, როდესაც სასალონე მომსახურება ითვალისწინებს სახის, ხელის ან/და ფეხის პროცედურას, ხდება მხოლოდ ჩარევის ზონის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალების მოხსნა (მაგ. სახის პროცედურების დროს მოიხსნას ნიღაბი). პროცედურის ჩატარების დროს დაცული უნდა იყოს მომხმარებლებს შორის 2 მეტრიანი დისტანცია, ხოლო მომსახურების გამწევი პირი აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

რეკომენდაციების თანახმად, დამსაქმებლის ვალდებულებებში შედის COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ განცხადებების განთავსება, ასევე ხელის ანტისეპტიკური საშუალებების განთავსება დაწესებულებაში. მან ასევე უნდა უზრუნველყოს დასაქმებულები და ვიზიტორები ხელის დაბანის გამართული საშუალებებით, ერთჯერადი ხელსახოცებით - ნიღბებით, სათვალით, დამცავი ტანსაცმლით და სხვ.

რეკომენდაციების თანახმად, ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს დასაქმებულები, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. იმ პროცედურების წარმოებისას, როდესაც შესაძლებელია კონტაქტი სისხლთან და ბიოლოგიურ სითხეებთან ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენება. იმ პროცედურების წარმოებისას, როდესაც შესაძლებელია სისხლისა და ბიოლოგიური სითხეების გაფრქვევა, დამცავი ტანსაცმელისა და სათვალის გამოყენება. ნიღბებით ნებისმიერი პროცედურების დროს. ნიღბების შეცვლა უნდა განხორციელდეს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ოთხ საათში ერთხელ. სამუშაო ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის დეზინფექცია-სტერილიზაციის გარდა, დამსაქმებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს სამუშაო სივრცისა და სათავსების ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაცია. ასევე, უზრუნველყოს გამოყენებული თეთრეულის ცვლისა და რეცხვის მართებული რეჟიმის დაცვა. სამუშაო ადგილებზე განათავსოს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზრუნველყოს მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა (პერსონალის ინფორმირება/ტრენირება).

ყოველი სამუშაო დღის შემდგომ უნდა მოხდეს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით. ასევე, აუცილებელია ნარჩენების დროული გატანა. სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური ცენტრებისთვის ჯანდაცვის სამინისტრომ რეკომენდაციები დაამტკიცა, რომლის შესრულებაც მათ 18 მაისიდან მოუწევთ.

# სოფლის მეურნეობა დახმარების მოლოდინში

/პირველი გვერდიდან/

**მაგ საქმეს? თანაც, უკვე ყველაფერი დათესილი გვაქვს. დახმარებები ადრევე უნდა ყოფილიყო“.**

კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილ სამთავრობო ანტიკრიზისულ გეგმაში სოფლის მეურნეობის დარგის დახმარების გათვალისწინებას ფერმერები, ზოგადად, დადებითად აფასებენ, თუმცა, იმათი აზრით, ვინც მიწათმოქმედებას მისდევს, დარგის რეალური დახმარება სათესლე მასალის, საწვავის, აგროქიმიკატებისა და სხვა საჭირო პროდუქტის გაიაფება იქნება:

**„ახლა საწვავი რომ გაიაფდა, ძალიან კარგია ფერმერისთვის. ასე უნდა დარჩეს და სხვა პროდუქტებიც გაიაფდეს. თუკი გაიაფდება, ჩვენ აღარავის დახმარება არ გვინდა“;**

**„200 ლარი არასაკმარისია. ალბათ, ყველაზე ცოტა 500 ლარი მაინც არის საჭირო ჰექტარზე“;**

**„ერთ ტომარა ჰიბრიდულ სათესლე სიმინდში 600 მივეცი და ეს 200 ლარი, როგორც ზღვაში წვეთი, ისეა“.**

სოფლის მეურნეობის დარგის სუბსიდირებას დადებითად აფასებს ფერმერ ქალთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ირინა ფხოველიშვილი, თუმცა ამბობს, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი სახელმწიფო, მაგალითად, ხორბალს აღიარებდა სახელმწიფო მნიშვნელობის პროდუქტად და უშუალოდ ამ დარგის გასაძლიერებელ პროგრამას შეიმუშავებდა:

***„ჩვენ ჯერ კიდევ ვიბრძვით იმისთვის, რომ ხორბალი როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროდუქტი იქნეს აღიარებული სახელმწიფოს მხრიდან და ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს ძალიან საინტერესო პროექტები, რომელიც გლეხს დაეხმარება სასურსათოდ ხარისხიანი ხორბალი აწარმოოს“.***

ირინა ფხოველიშვილისგან განსხვავებით, ეკონომისტი ირაკლი ყიფიანი ფიქრობს, რომ სოფლის მეურნეობის სტიმულირების წარმოდგენილი გეგმა გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგს ვერ გამოიღებს და დარგი მომავალ წელს ისევ იმ მდგომარეობაში იქნება, როგორშიც ახლაა. ყიფიანი გასულ წლებში განხორციელებულ მსგავს პროექტებს იხსენებს და ამბობს, რომ გლეხებმა მიწის დამუშავებისთვის ვაუჩერები არაერთხელ უკვე მიიღეს, თუმცა სოფლის მეურნეობა ამ დრომდე ვერ განვითარდა:

**„დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობა იმიტომ კი არ არის არაკონკურენტუნარიანი, რომ გლეხს 200-ლარიანი ვაუჩერი, შხამქიმიკატი და კიდევ 100 ლარი დახმარება არ აქვს. იმიტომაა წარუმატებელი, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარება ჩამორჩება განვითარებულ სამყაროს. საბოლოო ჯამში, კრიზისის დროს აქცენტირება უნდა ყოფილიყო ფულად დახმარებაზე და ადამიანისთვის თავისუფლების მიცემაზე, რაშიც უნდათ, იმაში დაეხარჯათ ეს 200 ლარი. თუ სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენი ხელისუფლების ინტერესშია, ერთადერთი განვითარების გზა არის: შემოვიდეს ცოდნა, ტექნოლოგია, ინვესტიცია. სხვა გზით ჩვენი სოფლის მეურნეობა ვერ გახდება მოწინავე“.**

ფერმერი ბექა გონაშვილი მთავრობის მიერ შეთავაზებულ სოფლის მეურნეობის დახმარების კრიზისულ გეგმას იწონებს და განმარტავს, რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს ამ გეგმამ ფერმერებს. „ამ გეგმას აქვს სოციალური დატვირთვა და არა საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავების მიზანი. ამ ეპიდემიის დროს ბევრს გაგვიწევია დახმარება გაჭირვებული ადამიანებისთვის და ჩავთვალოთ, რომ იგივეს აკეთებს მთავრობა, ეხმარება გლეხებს და არ აცხადებს, რომ ამ გეგმით სოფლის მეურნეობას სხვა ლეველზე გადაიყვანს. გადავხედოთ, რა ხდება სხვა ქვეყნებში... რუსეთმა 2 თვეა, შეწყვიტა ხორბლის გაყიდვა და რომ არ ყოფილიყო ქვეყანაში მარაგი, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ქვეყანაში მარტსა და აპრილში. ახლა ამერიკამ გამოგვიგზავნა ხორბალი და გზაშია, მაგრამ ამ ტვირთის ჩამოსვლამდე ქვეყანაში შიმშილი დაიწყებოდა.

მთავრობის მხრიდან ეს დახმარება ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანაში ტურისტები აღარ გვყავს, ეს სფერო კი უამრავ ადამიანს აპურებდა და ახლა ამ რეალობის წინაშე აღმოჩენილი ხალხისთვის დახმარება და ალტერნატივის შეთავაზება ძალიან დროულია.

**ახლა მეორე საკითხი:** როდესაც ჩვენ ამ ფულს დავხარჯავთ, მერე რას მივიღებთ? ვინც ახლა, 1 კვირის წინ ჩამოვიდა სოფელში და მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი, მათი უმეტესი ნაწილი ვერ დარჩება ამ საქმეში. ამის იმედი არ მაქვს, ეს არის დროებითი, თუმცა, მნიშვნელოვანია, ვინ დარჩება ამ სფეროში. ვართ ადამიანები, რომლებიც უკვე დიდი ხანია, ამ საქმეში ვართ და ვსარგებლობთ კიდეც სხვადასხვა პროგრამებით. **ამ შემთხვევაში, თუ ვიფიქრებთ, როგორ დავიხვეწოთ ტექნოლოგიურად, როგორ შემოვიტანოთ ქვეყანაში ახალი ჯიშები და ამ ცოდნას ერთმანეთს გავუზიარებთ, ამით ერთმანეთს გავაძლიერებთ. ეს იქნება ძალიან კარგი.**

***თუ მოსავლიანობას გავზრდით და მაღალპროდუქტიულები გავხდებით, უფრო გავძლიერდებით. ხორბლის წარმოება საქართველოში ჰექტარზე არის 2,5 ტონა, სიმინდი -2,7 ტონა და ეს არის საშუალო მაჩვენებელი, მაშინ, როცა უცხოეთში 10 ტონაზე ნაკლებს მოსავალს აღარ ეძახიან.***

ამ სიტუაციაში, ფერმერები, რომლებიც ვისწავლით და განვვითარდებით, შევქმნით მეტ პროდუქციას. ზოგიერთი, შესაძლოა, სწორედ ამ პროგრამის გამო მობრუნდეს სოფლის მეურნეობისკენ. თუმცა, სახელმწიფოსგან ცოდნის დაფინანსებაც ძალიან კარგი იქნება. ცოდნაშიც თუ ჩაიდება ფული, ეს წაგვადგება, მაგრამ ეს არ ჩანს. ფერმერების გადარჩევა აუცილებლად მოხდება. ისინი დიფერენცირდებიან სხვადასხვა სფეროში — ზოგს ღორების გაზრდა მოუნდება, ზოგს მარცვლეულის დათესვა და სახელმწიფოს დახმარება აქ იქნება საჭირო, რომ სწორედ იმ სფეროში მიაწოდოს ცოდნა და დახმარება, სადაც ესა თუ ის ფერმერი უფრო პროდუქტიული იქნება.

***სასიამოვნოდ გამაოცა ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულმა საწვავის ფასმა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი ლარის ფარგლებში რომ საწვავი ვიყიდოთ, ეს დიდი შეღავათია და თითქმის განახევრდება ხარჯი. მაგრამ მარტო მოხვნა არ არის მთავარი, ამას მოჰყვება სათესი მასალების შეძენა, შემდეგ სხვა სამუშაოების დროც მოვა, აუცილებელია, მიწის ქიმიური შემადგენლობის შესწავლა, რაც მნიშვნელოვანია მოსავლიანობის გაზრდისთვის. ასე რომ, მთავრობამ შემოგვთავაზა კრიზისიდან გამოსვლის გეგმა და არა - სოფლის მეურნეობის აყვავების და მე მიმაჩნია, რომ სწორი ნაბიჯები გადადგა.***

ანტიკრიზისული გეგმის დეტალური პრეზენტაცია სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გამართა. მთავრობისგან წარმოდგენილი „სოფელზე ზრუნვის" პროექტი“ რამდენიმე პუნქტისგან შედგება.




- **მცირემიწიანი ფერმერების დახმარება - 37 მლნ ლარი**
- **იაფი დიზელი - 40 მლნ ლარი**
- **მორწყვის ღირებულებისგან გათავისუფლება - 13 მლნ ლარი**
- **50%-იანი გრანტი აგროწარმოებისთვის - 23 მლნ ლარი**
- **საბანკო შეღავათები - 74 მლნ ლარი**
- **საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა - 1,5 მლნ ლარი**
- **აგროდაზღვევა - 9 მლნ ლარი**
- **მერძეველობის ხელშეწყობა - 42 მლნ ლარი**
- **გრანტი კოოპერატივებისთვის**

### მცირემიწიანი ფერმერების დახმარება – 37 მლნ ლარი

0,25 ჰა-დან 10 ჰა-მდე დარეგისტრირებული მიწის მფლობელებს სახელმწიფო 1 ჰა ტერიტორიისთვის 200 ლარით დაეხმარება. ფერმერს ამ თანხის გამოყენება სათესლე და სარგავი მასალებისთვის, სასუქისთვის, მცენარეთა ქიმიურად დამუშავებისთვის თუ ტექნიკის მომსახურებისთვის შეუძლია.

მთავრობის ვარაუდით, ის ამ გზით 200 ათას ფერმერს დაეხმარება. პროგრამით სარგებლობა 20 მაისიდან იქნება შესაძლებელი.

### იაფი დიზელი – 40 მლნ ლარი

0,25 ჰა-დან 10 ჰა-მდე დარეგისტრირებული მიწის მფლობელებს სახელმწიფო ტექნიკის მომსახურებისთვის გამოყენებულ ყოველ ერთი ლიტრი დიზელის ერთ ლარით იაფად ყიდვის შესაძლებლობას მისცემს. 1 ჰა-ზე მაქსიმალური ლიმიტი 150 ლიტრი იქნება. მთავრობა ვარაუდობს, რომ ჯამში ფერმერები 40 მლნ ლარს დაზოგავენ. პროგრამის ეს ნაწილიც 20 მაისიდან ამოქმედდება.

მორწყვის ღირებულებისგან გათავისუფლება - 13 მლნ ლარი

მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელსაც სამელიორაციო მიმართულებით დავალიანება აქვს დაგროვილი, ჩამოეწერებათ. ჯამში 42 ათას პირი 8 მლნ ლარს აღარ გადაიხდის.

გარდა ამისა, ყველა ის პირი, ვინც 10 ჰექტრამდე მიწას ფლობს, 2020 წელს ამ გადასახადისგან სრულად გათავისუფლდება, რაც 42 ათასი პირის შემთხვევაში 5 მლნ ლარია.

### 50%-იანი გრანტი აგროწარმოებისთვის – 23 მლნ ლარი

მთავრობა ღირებულების ნახევარს დაუფინანსებს ყველა იმ პირს, ვინც ტექნიკის ყიდვას, სათბურის მოწყობასა თუ სარწყავი მომსახურების დაყენებას გადაწყვეტს. პროგრამით სარგებლობა 20 მაისიდან დაიწყება და ფერმერებს მაქსიმუმ 50 ათასი ლარის მიღება შეუძლიათ. გარდა ამისა, მრავალწლიანი კულტურებისთვის სარწყავი სისტემის დამონტაჟებისთვის მთავრობა ფერმერს 50 პროცენტიან დაფინანსებას სთავაზობს. მაქსიმალური თანხა 1 ჰა-ზე 2,5 ათასი ლარია.

### საბანკო შეღავათები – 74 მლნ ლარი

მთავრობამ გაზარდა სოფლის მეურნეობაში ჩართული პირების სესხის პროცენტის დაფინანსების მოცულობაც. ერთწლიანი კულტურებისთვის 5 ათასიდან 100 ათას ლარამდე სესხების პროცენტს 6 თვის განმავლობაში მთავრობა სრულად დააფინანსებს.

გარდა ამისა, 20 ათასიდან 1,5 მლნ ლარამდე “ძირითადი საშუალებებისთვის” აღებული სესხის პროცენტიდან 12 პროცენტამდე ნაწილს 4 წლის განმავლობაში სახელმწიფო დაფარავს, ხოლო 1,5 მლნ-დან 5 მლნ ლარამდე სესხების შემთხვევაში 2 წლის განმავლობაში 10 პროცენტს.

### საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა – 1,5 მლნ ლარი

სურსათის უვნებლობის, ბუღალტრული მომსახურებისა თუ კოოპერატივების დანადგარების აღჭურვისთვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები მიიღებენ. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს 50 პროცენტი დაუფინანსდებათ და მაქსიმუმ 15 ათასი ლარის მიღება შეეძლებათ, კოოპერატივებს კი 90%-ით და მაქსიმუმ 25 ათასი ლარის მიღება.

### აგროდაზღვევა – 9 მლნ ლარი

ფერმერებს შეეძლებათ სეტყვისგან, წყალდიდობისგან, ქარიშხლისგან თუ საშემოდგომო ყინვისგან მრავალწლიანი კულტურები 3 წლის განმავლობაში დააზღვიონ. პროგრამა მარცვლეულის შემთხვევაში მაქსიმუმ 30 ჰა-მდე ტერიტორიაზე, სხვა დანარჩენ კულტურებზე კი 5 ჰა-მდე ტერიტორიაზე ვრცელდება. ვაზის შემთხვევაში დაზღვევის თანხის ნახევარს სახელმწიფო ფარავს, სხვა შემთხვევაში კი 70 პროცენტით.

პროგრამაში გათვალისწინებულია კოოპერატივებიც. ამ ტიპის გაერთიანებას მაქსიმუმ 50 ათასი ლარის პრემიის მიღება შეუძლიათ.

### მერძეველობის ხელშეწყობა – 42 მლნ ლარი

ამ პროგრამაში რძის საწარმოებლად საჭირო 7 მიმართულებაა გამოყოფილი. რძის პირველადი წარმოება (დაფინანსება 80%, მაქსიმუმ 26 ათასი ლარი), რძის შემგროვებელი პუნქტის მოწყობა (60%, 137 ათასი), რძის შემგროვებელი საგაზაფხულო პუნქტის მოწყობა (80%, 26 ათასი), 1 ტონამდე რძის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა (80%, 39 ათასი), 1-10 ტონა რძის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა (40%, 130 ათასი), პირუტყვის საკვების პირველადი წარმოება (60%, 195 ათასი) და ვეტერინარია და ხელოვნური განაყოფიერება (80%, 52 ათასი).

### გრანტი კოოპერატივებისთვის

სახელმწიფო დააფინანსებს თაფლისა და რძის წარმოებას გორში, ახალქალაქში, დმანისსა და დუშეთში. კოოპერატივს შეუძლია სახელმწიფოსგან 70 პროცენტიანი დაფინანსება მიიღოს.

მევენახეობისა და მერძეველობის დარგის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერას სახელმწიფო 90 პროცენტიანი თანადაფინანსებით გეგმავს. ამ შემთხვევაში თანხის მოცულობა 15 ათასიდან 500 ათას ლარამდეა.

გარდა ამისა, მაღალმთიან რეგიონებში კოოპერატივები დამატებით 5 პროცენტით დაფინანსდება. კოოპერატივების 10 პროცენტით თანადაფინანსებაა გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის ყველა მიმდინარე სახელმწიფო პროგრამაში. მთავრობამ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირებაა, 12 მაისს წარადგინა.

ფერმერები დახმარებას 20 მაისიდან მიიღებენ.გარდა ამისა, ანტიკრიზისული გეგმა ითვალისწინებს დარგის სუბსიდირებას სხვა მიმართულებითაც. ფერმერები მიიღებენ იაფ დიზელს, მიმდინარე წელს გათავისუფლდებიან მორწყვის გადასახადისგან. დაანონსდა გრანტები კოოპერატივებისთვის და საბანკო შეღავათები.

***ღსანიშნავია, რომ ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული შეღავათებით ამ ეტაპზე ვერ ისარგებლებენ ისინი, ვისაც მიწის ნაკვეთები საკუთრებაში არ აქვთ დარეგისტრირებული, თუმცა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ვინც წლის ბოლომდე საკუთრების აღიარებას მოახერხებს, დახმარებას მიიღებს.***

ინგა შიოლაშვილი

# მედიაწიგნიერება ანუ კრიტიკული აუდიტორია

საზოგადოებისთვის სანდო, მკაფიო ინფორმაციის მიწოდება მედიის და ჟურნალისტების პირდაპირი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა. ჯანმრთელობის ისეთი გლობალური კრიზისის დროს კი, როგორც ეს კორონავირუსის გავრცელება და მისგან მომდინარე საფრთხეებია, ეს პასუხისმგებლობა კიდევ უფრო კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს თითოეულმა მედიასაშუალებამ და მისმა წარმომადგენელმა. დღეს ჩვენ ხშირად ვაწყდებით საზოგადოების უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ჟურნალისტები არაპროფესიონალურად იქცევიან რესპონდენტებთან მუშაობის დროს.

ეს კი, უპირველეს ყოვლისა, რესპონდენტებთან კითხვების დასმის ტექნიკას ეხება. თითქოს ვინც პირველი და ხმამაღლა დაიყვირებს თავის შეკითხვას, მას უფრო მეტ ინფორმაციას მისცემენ და ყველაზე წინ იქნება. დასწრებაცაა და დასწრებაც. გვესმის, რომ მეინსტრიმული მედია ამას გარკვეულწილად მოითხოვს, მაგრამ ეკრანს მიღმა დარჩენილი ადამიანებისთვის ეს უბრალოდ „ქაოსია“, რომლის მოსმენაც არავის უნდა. შესაბამისად, ინფორმაციის მიღების სურვილიც იკლებს და ხშირად მაყურებელი იძულებულია გამოეთიშოს ინფორმაციის მიღების პირდაპირ გზას. არავის უნდა უსმინოს ჩამოუყალიბებელი კითხვების ანდაც მილიონჯერ განმეორებული ერთი და იგივე პასუხების მთელ წყებას, რომელიც უფრო მეტ გაღიზიანებს იწვევს ისედაც დასტრესილ და აღელვებულ სოციუმში. ამაში კი აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა როგორც მედიაწიგნიერმა ერმა, ასევე პროფესიონალმა ჟურნალისტმა.

მედიაწიგნიერება ვახსენეთ და გეტყვით, რომ არასდროს ისე არ გამხდარა მედიაწიგნიერება და ამავდროულად, დისციპლინა საჭირო როგორც ახლა, ამ დროს. მედიაწიგნიერება ესაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, რომელიც საჭიროა ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში ორიენტირების, ინფორმაციის გაფილტვრის და, მეორე მხრივ, ახალი ინფორმაციის/ცოდნის შექმნისა და გაზიარებისთვის. როგორც ვიცით, ინფორმაციის გაფილტვრა კი რთულია კრიტიკული აზროვნების უნარის გარეშე, ხოლო ახალი ინფორმაციის შექმნას კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება სჭირდება. მედიაწიგნიერების ერთ-ერთი მთავარი მკვლევრის, ჯეიმს პოტერის მიხედვით, „მედიაწიგნიერება არის პერსპექტივათა კრებული, რომელსაც აქტიურად ვიყენებთ მასმედიასთან ურთიერთობისას, რათა შემხვედრი გზავნილების მნიშვნელობა განვმარტოთ.“

მედიაწიგნიერება პასუხიცაა ციფრული საუკუნის გამოწვევებზე. ის ინფორმაციაზე კონტროლის დამყარებას გულისხმობს. რაც უფრო მაღალია ადამიანის მედიაწიგნიერების ხარისხი, მით უფრო დიდია რეალურ სამყაროსა და მედიის მიერ შექმნილ სამყაროს შორის არსებული საზღვრის დანახვის უნარი. როდესაც ადამიანი მედიაწიგნიერია, ეს მას ეხმარება, სწორად გაიკვალოს გზა ინფორმაციის სამყაროში. მედიაწიგნიერი ადამიანი იძენს გამოცდილებას და იმ ინფორმაციას, რომელიც მისთვის სასარგებლოა; ხოლო მისთვის საზიანო ან ზედმეტ ინფორმაციას თავს არიდებს. მედიაწიგნიერი ადამიანი არ ექცევა ინფორმაციის წნეხში და არ აძლევს მედიას საშუალება, დააპროგრამოს მისი გონება და მისი დღის წესრიგი.

მარტივად რომ ვთქვათ, თუ კი მე მედიაწიგნიერი ვარ, უნდა შევძლო თეთრისა და შავის, სწორისა და არასწორის ერთმანეთისგან გარჩევა. იმისთვის, რომ ჩვენ მედიის კრიტიკულ მომხმარებლებად ვიქცეთ, საჭიროა მედიაწიგნიერების (ინგლ. მედია ლიტერაცყ) უნარებისა და ქცევების ჩამოყალიბება-განვითარება. ამ პროცესს კი შეიძლება მედიაგანათლება დავარქვათ.

რა არის მედიაგანათლება? მედიაგანათლება არის პროცესი, რომლის გავლის შემდეგ ადამიანი მედიაწიგნიერი ხდება, ანუ შეუძლია კრიტიკულად აღიქვას მედიის შინაარსი, ტექნიკა და ის გავლენა, რომელსაც მედიაპროდუქცია და მედიის გზავნილები ახდენს მასზე. მედიაგანათლება აღიარებს და ეფუძნება პოპულარული კულტურის (პოპკულტურის) დადებით, შემოქმედებით და სიამოვნების მომგვრელ განზომილებებს. იგი მოიცავს მედიის ტექსტურ პროდუქციას და მედიის კრიტიკულ აღქმას, რაც მზარდ და რთულ მედიალანდშაფტში ორიენტაცია-მოგზაურობაში გვეხმარება. დღევანდელი მედიის მრავალფეროვანი ლანდშაფტი შედგება არა მარტო ტრადიციული და ციფრული მედიისგან, არამედ ისეთი პოპულარული კულტურული სივრცეებისგანაც, როგორებიცაა სავაჭრო ცენტრები, მოდა და მისი ინდუსტრია, სათამაშოები თუ თემატური პარკები. საორიენტაციოდ კი შემდეგი სახის კითხვები უნდა დავსვათ და შეძლებისდაგვარად, უნდა ვუპასუხოთ კიდეც:



*** ვინ არის მედიაპროდუქციის აუდიტორია და რატომ? ვისი პერსპექტივიდან ხდება ამბის თხრობა?**

*** რა გავლენას ახდენს ჩვენ მიერ დანახულზე, მოსმენილსა თუ წაკითხულზე რომელიმე სპეციფიკური ჟანრის ელემენტები თუ კოდები?**

*** როგორ შეიძლება აღიქვან განსხვავებულმა აუდიტორიებმა ერთი და იგივე მედიაპროდუქტი?**

დღეს მთავარი გამოწვევა სწორი ინფორმაციის პოვნა და შეფასებაა. ეს უწყვეტი პროცესია და მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ ვლინდება, როდესაც ინფორმაციული ნაკადი დიდია. არახალია, რომ მედიის მეშვეობით ხდება იდეოლოგიური გზავნილების გადაცემა ღირებულებებზე, ხელისუფლებასა და უფლებამოსილებებზე. ხშირად მედიაში ის უფრო მნიშვნელოვანია, ვინც ან რაც არ ჩანს, ვიდრე ის, რაც თვალნათლივ არის ნაჩვენები. შესაბამისად, მათ ხელეწიფებათ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ იმაზე, რას ვფიქრობთ და რისი გვჯერა. საბოლოოდ, გამოდის, რომ მედიას დიდი გავლენა აქვს პოლიტიკასა და სოციალური ცვლილებების ფორმირების პროცესზე. მსოფლიო პროცესებზე წარმოდგენების, მათდამი დამოკიდებულებების წარმოჩენით როგორც ჟურნალისტურ, ისე ფიქციურ (გამოგონილ) სივრცეში შესაძლებელია ამ საკითხებისადმი საზოგადოების ყურადღების ინტენსივობის ცვლა და მართვაც.მედიის მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე გავლენის მოხდენა, ამ საკითხების მედიაში გაშუქების სიხშირითა და მათი ინტერპრეტაციის მეშვეობით კი — მოვლენისადმი (პერსონისადმი, პროდუქტისადმი) დამოკიდებულებების მართვა და მისთვის საჭირო ხატის („იმიჯის”) შექმნა. გვინდა არ გვინდა, კი ამის მარტივი დადასტურება ჩვენი საცხოვრებელი გარემოა, უამრავი გასაფლიტრი ინფორმაციითა და წარმოდგენებით.

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# მადლიერი გული VS სიმდიდრე და ფუფუნება

ადამიანისთვის არის ერთი სანუკვარი გრძნობა: -- ის სიხარული, როცა გაიგებ, რომ შენზე ფიქრობს ვინმე და შენი ბედი აწუხებს გულწრფელად და უანგაროდ.
ჰატიოსანი თვალივით იშვიათი და ძვირფასი სიხარულია ეს სიხარული!!! რამდენ ჰირობას უნდა მოუყაროს თავი, მის ასახდენად განგებამ?! ამას მხოლოდ რჩეულთათვის აკეთებს უზენაესი...

„დათა თუთაშხია“ - ჭაბუა ამირეჯიბი



***უცნაურად შეიცვალა ცხოვრება და ჩვენი ყოველდღიური ყოფა. სახლში დარჩენილებს მოგვეცა ბევრი დრო ფიქრისათვის. ხდება ჩვეული პრიორიტეტების გადაფასება. თვალს გაადევნებ ცხოვრების განვლილ გზას და შემოგეპარება ფიქრი იმაზე, თუ რამდენად აზრიანად გაიარე ეს გზა. ძალიან ბევრი საზრუნავი აწვება ტვირთად ჩვენს ოჯახებს და ძალიან ცოტა უბრალოება, სიმშვიდე და ბედნიერებაა მათში.*** ნაკლები უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რითია დაკავებული გარეშე სამყარო და მეტი უნდა ვიზრუნოთ ახლობლებზე. ოჯახის წევრებმა უნდა გამოხატონ ნაკლები თვალთმაქცური, მოჩვენებითი თავაზიანობა და გაცილებით უფრო მეტი - სინაზე და სიყვარული ერთმანეთის მიმართ. ბევრისათვის აუცილებელია ისწავლოს, თუ როგორ აქციოს სახლი მიმზიდველ, სიხარულით აღსავსე ადგილად. მადლიერი გული და მზრუნველობით სავსე მზერა უფრო ძვირფასია, ვიდრე სიმდიდრე და ფუფუნება. ბედ ნიერია ოჯახი, თუ მასში სიყვარული სუფევს. სიყვარული უნდა ჩანდეს გამოხედვასა და მანერებში, იმაში, თუ როგორ ვსაუბრობთ,ვზრუნავთ, ახლობელ ადამიანებზე. გვიფიქრია როდის უნდა დავიწყოთ ზრუნვა იმისათვის, რომ სიბერე ღირსეულად გავატაროთ? ჟამი, როდესაც ყველაზე უმწეო ხარ; დრო, როდესაც გვჭირდება ზრუნვა, ნუგეში, ირგვლივ მოსიყვარულე ადამიანები, რომელთათვისაც არ ხარ მძიმე ტვირთი; გარემო, სადაც ვართ მშვიდად, სადაც არ გვემუქრება შიმშილი, შეურაცხყოფა, შორეული ნათესავის იმედად დარჩენილს საკუთარი ბინიდან გამოსახლება... მძიმეა ამ ყველაფრის გააზრება, მაგრამ ხშირად ეს რეალობაა. არავინ და არაფერია ქვეყნად მომვლელისა და ღვთის ანაბარად დარჩენილ მოხუცზე გულის მომკვლელი. რა თქმა უნდა, რთულია ობლად დარჩენილი ბავშვის ხვედრიც, მაგრამ მას ხომ მთელი ცხოვრება წინ აქვს, აქვს მომავალიც, იმედის ქონის უფლებაც და შანსიც. მარტო დარჩენილ მოხუცს კი ახალგაზრდობის წლები უკვე უკან მოუტოვებია, აღარც ენერგია აქვს ძველებური და პირისპირ დგას მკაცრი რეალობის წინაშე. სიბერისათვის ახლავე უნდა მოვემზადოთ, ყველანაირ ინვესტიციას, რომელსაც ჩავდებთ საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად, გარკვეული ნაწილი ათეული წლების შემდგომი პერიოდისთვის უნდა იყოს განკუთვნილი, არამხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით.

შვილების გაზრდა და მათი წარმატება მათსავე ნათელ მომავალთან ერთად მშობლების ღირსეული სიბერეცაა, იმიტომ რომ არაფერი სჭირდება ადამიანს ისე ძლიერ, როგორც გარშემომყოფთა სიყვარული. საპენსიო ფონდში ფულის დაგროვებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მორალური ფონდი და სიყვარული, რასაც ცხოვრების განმავლობაში გავცემთ შვილებისთვის. ჩვენც ისე უნდა მოვექცეთ მშობლებსა და ბებია-პაპებს, როგორც თავად ვისურვებდით მოგვექცნენ მომავალში. შეიძლება ითქვას, ცხოვრებაში გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს ერთგვარად იმახსოვრებს შთამომავლობა, შემდეგ კი სიბერეში გვიბრუნდება სანაცვლოდ. და ვუსვამთ ჩვენს თავს შეკითხვას: **ვასწავლეთ თუ არა შვილებს შრომა სიზარმაცის ნაცვლად? ვაჩვენეთ თუ არა, რას ნიშნავს უანგარო სიყვარული? გავაკეთეთ თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ ისინი მომავალში დამოკიდებული იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე?** ვუთხარით თუ არა, რომ კონფორმიზმი ცუდია და ღირსებაზე დიდი ღირებულება არ აბადია ადამიანს. თუ ის ყველაფერი, რაც ცხოვრებამ და გამოცდილებამ შეგვძინა, შვილებს ვასწავლეთ, მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ „მორალური საპენსიო ფონდიდან“ მცირე დივიდენდს მაინც მივიღებთ.

ბევრი კითხვა გაჩნდა, ძალიან ბევრი. ამაზე ფიქრის დრო უბრალოდ არ გვქონდა ჩვენი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, ან სულაც, ყოველდღიურობით გადაღლილები თავს ვარიდებდით უსიამოვნო ფიქრებს, მაგრამ მოვიდა დრო განვლილი გზის შეფასების და ბევრი რამის გადაფასების. მუდმივი არაფერია ცხოვრებაში, ეს პანდემიური პერიოდიც გაივლის და ალბათ, ჩვენი დღეს ნაფიქრალი, ოდნავ მაინც შეცვლის ჩვენს მომავალს. მითუმეტეს ჩვენს რეალობაში, როდესაც აშკარაა რადიკალური ცვლილებები არა მარტო კერძო და ვიწრო გაგებით, არამედ გლობალურად, მსოფლიოს მასშტაბით.

ხათუნა ბენაშვილი

# დისტანციური სწავლება, როგორც ალტერნატივა

***პანდემიის გამო, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა, სასწავლო წლის აკადემიურად გამოცხადების საშიშროების წინაშე დადგა. თუმცა, გამოსავალი მალე გამოინახა და ქვეყანა აქტიურად ჩაერთო დისტანციური სწავლების რეჟიმში. ამ დღეებში საქართველო და ფინეთი საერთაშორისო ექსპერტების მიერ ლიდერ ქვეყნებად დასახელდნენ დისტანციური სწავლების საუკეთესოდ დანერგვის კუთხით. 30 მარტიდან, როგორც მეექვსე და მერვე კლასელი მოსწავლეების მშობელი, უშუალო მოწმე ვარ ამ პროცესების. ორშაბათიდან შაბათამდე სახლში სკოლის და ტელეგაკვეთილების რეჟიმში ვცხოვრობთ მთელი ოჯახი,ვიცავთ წესრიგს,რომ ბავშვებს ხმაურმა ან სხვა გარემო ფაქტორებმა ხელი არ შეუშალონ გაკვეთილებზე დასწრებაში. ეს ძალიან შთამბეჭდავი და უპრეცედენტო მოვლენა,ა ყველას ცხოვრებაში, რომელმაც ძალიან ბევრი უპასუხო კითხვები გააჩინა. დღეს ვეცადეთ რამოდენიმე პედაგოგი,მშობელი და მოსწავლე ჩაგვერთო გამოკითხვაში და მათგან მიგვეღო პასუხები კითხვებზე:როგორ შეაფასებდნენ განვლილი თვენახევრის მანძილზე მიღებულ გამოცდილებას და ონლაინ სწავლების პროცესებს,რა მოსწონთ და რა შენიშვნები აქვთ სამომავლოდ...***

ციცო მანგოშვილი, **მშობელი**– მე ძალიან მომწონს და აღფრთოვანებული ვარ მასწავლებლების მონდომებით და იმით,რომ ბავშვებს უფრო მეტი სტიმული მისცეს ამა თუ იმ საგნის სწავლებაში. მაქსიმალურად ცდილობენ ბავშვებამდე მიიტანონ ახალი მასალა და უფრო საინტერესოს ხდიან ყველა ონლაინ გაკვეთილს. თუმცა, მოსაწყენია დისტანციური ცხოვრება . იმედი მაქვს, ყველაფერი მალე ჩაივლის და დავუბრუნდებით ჩვეულ სწავლა-განათლებას.

ელზა ხარაშვილი, **პედაგოგი**–არსებული მოულოდნელი კრიზისისას ჩვენმა ქვეყანამ სხვა ბევრ განვითარებულ, ეკონომიკურად ძლიერ ქვენებზე უკეთესი ნაბიჯები გადადგა, განათლებაში დისტანციური სწავლების კუთხით არ გვაქვს ჩავარდნა, შეუფასებელი საშუალებაა ტელესკოლა,მასზე წვდომა აქვს ყველას პერიფერიების ჩათვლით. ძლიერი რესურსით, საინტერესო და კომპაქტური გაკვეთილებით. დისტანციურ გაკვეთილებსაც მოხერხებულად ვატარებ და მიმოწერითაც ვმუშაობ ტესტების სახით. მე ვფიქრობ, პანდემიის მერეც უნდა დატოვონ რაღაცა ფორმით დისტანციური სწავლება. მონდომებულ ბავშვებს დრო არ ეკარგებათ, კლასებში დაგვიანებულად შემოსული ბავშვები არ გააფანტვინებენ ყურადღებას, ყველა წუთი მათ ეკუთვნით დროის დიდი გაფრთხილება ხდება.

რუსუდან გონაშვილი, **პედაგოგი**–განათლება არაა მხოლოდ ფორმულების ან ლექსის დაზეპირება. ესაა სოციალური ფენომენი, ურთიერთობებისა და ცხოვრების სწავლა, საზოგადოებაში ცხოვრება, პიროვნული და პროფესიული ზრდა, რომელიც აუცილებლად მოდის ურთიერთობებისაგან. ეს ცალსახაა და ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ახლა ფორსმაჟორში მოგვიწია მუშაობა და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს. რაც შეეხება ამ თვე-ნახევრის განმავლობაში განხორციელებულ დისტანციურ სწავლებას, მე მხოლოდ კარგი შემიძლია ვთქვა, მაგრამ კიდევ ერთხელ გახსენებთ, რომ ფორსმაჟორში განხორციელებულ დისტანციურ სწავლებას ვაფასებ ახლა და არა, წინასწარ დაგეგმილ-დადგენილს, რომელზეც მრავალი თვის განმავლობაშია ნაფიქრი. უდიდესი ძალისხმევა ჩაიდო ამ ფორმის სწავლებაში ყველას მხრიდან, ყველაში ვგულისხმობ, სახელმწიფოსაც, განათლების სისტემასაც და, რა თქმა უნდა, მასწავლებლებსაც. ამისი არ დანახვა, უბრალოდ უმადურობა იქნებოდა. კოვიდ 19-ის გამო, ყველას, მათ შორის მასწავლებლებს, ძალიან სწრაფად მოგვიწია ყოველდღიურობის შეცვლა და დავიწყეთ სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. გაკვეთილები ტარდება სინქრონულ, ასინქრონულ ონლაინ რეჟიმში სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით: ტელევიზიით, სკაიპით, ზუმით, მესინჯერით, თიმსით. ტელეფონითაც კი.

***ცხადია, დისტანციური სწავლების რეჟიმი ვერ იქნებოდა ისეთი ეფექტური, როგორიც ჩვეულებრივი სწავლებაა, მაგრამ პრობლემების მიუხედავად, მე მაინც დადებითად შევაფასებდი მას, რამდენიმე ფაქტორის გამო: 1) მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ელვისებურად მოუწიათ ტექნოლოგიური სიახლეების ათვისება, ეს მე დადებითად მიმაჩნია და მჯერა, რომ სკოლაში დაბრუნების შემდეგ ნასწავლ-ათვისებულ უნარებს აქტიურად გამოიყენებენ. 2) მე სხვა გზას ვერ ვხედავდი შექმნილ სიტუაციაში და თავიდანვე ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნდა ის. 3) ამ სიტუაციიდან მშვენიერი დასკვნების გაკეთება შეიძლება, რომლებიც აუცილებლად გამოგვადგება მომავალში. პრობლემებსაც ვხედავ, რა თქმა უნდა, მიუხედავად მრავალფეროვანი ინსტრუმენტებისა და მხარდაჭერისა, ახალი გამოწვევა არცთუ ისე ადვილად გასამკლავებელი აღმოჩნდა უამრავი ფაქტორის გამო.***

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეების ნაწილი ვერ ახერხებს სხვადასხვა მიზეზის გამო დისტანციური სწავლების რეჟიმში აქტიურ ჩართვას, სწავლების ასეთი ფორმა ნაკლებად ინტერაქტიულია, მაგრამ ვიმეორებ, უნაკლო ვერ იქნებოდა სპონტანურად დაწყებული დისტანციური სწავლება.

ყველაზე ნაკლებად მოსწავლეთა შეფასებაზე ვფიქრობ ამ სიტუაციაში, თუმცა, ესეც მოგვარდება, საკმაო რაოდენობის დოკუმენტაცია გროვდებოდა ამ ხნის განმავლობაში, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია მოსწავლეთა შეფასება ან არ შეფასება, პირადად მე ყველა გაკვეთილს ვიწერდი, ასევე პროგრამაში, რომლითაც გაკვეთილებს ვატარებდი, ავტომატურად დგებოდა სტატისტიკა და ანალიზი მოსწავლეთა დასწრება-არ დასწრებაზე, აქტიურობაზე, ჩართულობაზე, იქვეა მათ მიერ შესრულებული ყველა სამუშაო, დავალება, აქტივობა, შესაძლებელია ამ მონაცემების ექსპორტირება და მატერიალური სახით დართვა შეფასებაზე. ადეკვატურობის შეფასება მომავალ წელსაც შეიძლება და თუ აღმოვაჩინე, რომ სადღაც შევცდი, აუცილებლად გამოვასწორებთ მე და მოსწავლეები, ახლა მთავარი სხვა რამეა და იმედია, ადეკვატურები ვიქნებით როგორც მოსწავლის, ასევე ზოგადად შექმნილი სიტუაციის შეფასებაში.

ზაქარია ჟუაძე, **პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე**–განვლილი თვენახევრის მანძილზე მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ დისტანციური სასწავლო პროცესი ნელ-ნელა იხვეწება. თავდაპირველად თუ ვცდილობდით, მასწავლებელს მესენჯერით დავკავშირებოდით, მოგვიანებით უკვე დავიწყეთ უკეთესი პლატფორმის ძიება. დისტანციურ სასწავლო პროცესს შევაფასებ დადებითად, რადგან ასეთ მოკლე დროში და მსგავს რთულ სიტუაციაში უკეთესი გამოსავლის მოძებნა ალბათ შეუძლებელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ონლაინ სისტემას აქვს თავისი მინუსები და საკლასო გარემოში სწავლას არაფერი ჯობს, რადგან საგაკვეთილო პროცესი გამდიდრებულია სიტუაციური ამოცანებით და ჯგუფური სამუშაოებით, თუმცა, რას ვიზამთ, ცოტაც უნდა გავუძლოთ. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას და ვიმედოვნებ, რომ ეს შრომა, რომელსაც მოსწავლეები და მასწავლებლები ეწევიან, ნაყოფიერი იქნება.

ალეკო კოტაშვილი, **პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე**–ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციისთვის საქართველოში სკოლები და უნივერსიტეტები დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდნენ,რომლის მთავარი მიზანი სასწავლო პროგრამების ბოლომდე ათვისებაა.ჩემი აზრით,ახალი ტექნოლოგიების ასეთ მოკლე დროში ათვისება ერთგვარი სტრესია მასწავლებლებისთვის,მათ უჭირთ მოსწავლეთა დისციპლინის კონტროლი ონლაინ რეჟიმში, ასევე რთულია დავალებების გასწორება და შეფასების გაკეთება, თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე ფრიად კმაყოფილი ვარ ჩვენი მასწავლებლების შემართებით, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენ საკმარისი ცოდნა მოგვცენ.

ეკა სეფიაშვილი, **პედაგოგი**–გლობალური პანდემიის პირობებში სკოლები, როგორც ყველა საგანმანათლებლო თუ სასიცოცხლო ობიექტები,გადავედით დისტანციურ კომუნიკაციაზე. სკოლებს მოგვივიდა ინსტრუქცია სწავლების პლატფორმასთან დაკავშირებით. მოსწავლეებთან საკომუნიკაციოდ ანუ საგაკვეთილო შეხვედრებისთვის,მე ვიყენებ ZOOM-ს. სწავლების ონლაინ ფორმას საკმაოდ მოუმზადებლები შევხვდით თავდაპირველად, თუმცა, მალევე ავუღეთ ალღო, როგორც მასწავლებლებმა, ასევე მოსწავლეებმა და მივყვებით ამ რთულ პროცესს შეძლებისდაგვარად.

ახალი ტექნოლოგიის მოკლე დროში ათვისება ერთგვარი გამოწვევა და სტრესია. ხშირია ტექნიკური პრობლემები, ინტერნეტის ხარვეზები, რაც ართულებს მოსწავლეთა ჩართულობის კონტროლს ონლაინ რეჟიმში. ასევე რთულია დავალებების გასწორება და სათანადო უკუკავშირი. ამ ეტაპზე ვიყენებთ მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას. ბავშვები არ ფასდებიან ქულებით.

***მართალია, მოსწავლეები კარგად არიან გათვითცნობიერებულნი ტექნოლოგიებში და ციფრული რესურსების გამოყენებაში, ჩვენ აქტიურად ვიყენებდით ელექტრონულ რესურსებს სასწავლო პროცესში, მაინც არ არიან მიჩვეული დისტანციურ სწავლებას, მალე ბეზრდებათ ეს პროცესი. მათთვის არ არის რეკომენდებული დიდი ხნით ეკრანთან ყოფნა, ზოგიერთ მოსწავლეს უვითარდება ქცევითი პრობლემები, შეიძლება მოიმატოს აგრესიამ, მათ სჭირდებათ სოციალური ურთიერთობები თანაკლასელებთან და ამის არარსებობის პირობებში სოციალური ქცევა შეიძლება შეეცვალოთ.***

***მშობლებისთვის ეს დამატებითი და სტრესული შრომაა, უმეტესობას მოუწია პედაგოგიური და ტექნოლოგიური უნარების გამომუშავება-განვითარება შვილების დასახმარებლად. ამის შედეგად შესაძლებელია მშობლებსა და ბავშვებს შორის ურთიერთობები დაიძაბოს და ამ მოვლენამ ოჯახურ ურთიერთობებზეც იქონიოს გავლენა.***

***მუდმივად დისტანციურ რეჟიმში სწავლება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული მოსწავლისთვის და მასწავლებლისთვის, ხშირად არაეფექტურია და უარყოფითი მოვლენები ახასიათებს. სამომავლოდ ამ გამოცდილების დანერგვა შესაძლებელია სკოლებში ჩვეულებრივ სწავლებასთან ერთად შერეულ ფორმატში, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით.***

რაც შეეხება სემესტრულ და წლიურ შეფასებას, არ გვაქვს ჯერ კონკრეტული ინსტრუქციები. ველოდებით განათლების სამინისტროდან სიახლეებს და რეკომენდაციებს.

თამუნა ბოსტაშვილი, **პედაგოგი**–უხილავმა მტერმა მთელი სამყარო შეცვალა. როცა ახალი სასწავლო სემესტრისთვის ვემზადებოდით და გვითხრეს, რომ საკლასო ოთახები და აუდიტორიები ცოტა ხნით, უფრო სწორად, განუსაზღვრელი ვადით, დაიხურებოდა, გაჩნდა კითხვა: როგორ ვასწავლოთ? დახურულ კარს მიღმა … ელექტრონულად, დისტანციურად, ეს სიტყვები აქამდეც კარგად ნაცნობი იყო, მაგრამ...

რამდენიმე დღეში ეს მოულოდნელობა უამრავმა ტექნოლოგიურმა შესაძლებლობამ შეცვალა და აუდიტორიებსა თუ საკლასო ოთახებში სტუდენტთა და მოსწავლეთა რეალური ყოფნა კომპიუტერის მოციმციმე ეკრანებით და ვირტუალური სწავლა-სწავლების პროცესით ჩანაცვლდა. შეიცვალა სასწავლო გარემო. დავიწყეთ ტექნოლოგიების შიგნით მზერა და მათი ამოუწურავი შესაძლებლობების გამოყენება.

სკოლების უმრავლესობა იყენებს დისტანციური სწავლების სხვადასხვა პლატფორმას, რომელთა შორისაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს Microsoft Teams da Zoom.

მე ჩემს მოსწავლეებს დისტანციურ გაკვეთილებს Zoom - ის აპლიკაციის საშუალებით ვუტარებ. ჩემთვის, როგორც ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მათემატიკის პედაგოგისთვის, უცხო არ ყოფილა ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, პირიქით,უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა ეკრანის გაზიარებით მოსწავლეებისთვის ბევრი საჭირო დეტალი მესწავლებინა. რაც შეეხება მათემატიკას, ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენე იმისთვის, რომ www.LearningApps.org -ის გამოყენებით შემექმნა და მოსწავლეებისთვის მიმეწოდებინა უამრავი სახალისო ინტერაქტიული რესურსი, რომელიც, ვთვლი, რომ მოსწავლეებს ახალი მასალის გააზრებასა და უკეთ ათვისებაში ძალიან ეხმარება.

ახალი მასალის ასახსნელად ვიყენებ ,,Ms power-point"-ში მომზადებულ პრეზენტაციებს, დავალების გამოსაკითხად კი სხვადასხვა საშუალებას მივმართავ. მაგალითად, ვორდის ფაილში ვადგენ კითხვებს, გამოსახულებას, რომელზედაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს და უკან გადმომიგზავნოს. აქტიურად ვიყენებ ხანის აკადემიის ვიდეომასალას და ტესტებს მათემატიკის სწავლებისას, ასევე სილქნეტის საშინაო სკოლის ვიდეოგაკვეთილებს. ვწერ ვიდეოგაკვეთილებს და ვუგზავნი ბმულებს, მოსწავლეები განვლილ თემებზე ქმნიან პრეზენტაციებს და ტვირთავენ ჯგუფებში, ან მიგზავნიან პირადში .

**დავალებების შესრულებისა და კლასის ჩართულობის თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ თითქმის ყველა კლასში. მაქსიმალურად ვცდილობ, მოსწავლეებს სწორი პასუხი თუ შეცდომა განვუმარტო და განმავითარებელი კომენტარი დავუწერო.**

**მოსწავლეებს მოსწონთ სახალისო აქტივობები და დიდი მონდომებით ასრულებენ მათ. რაც შეეხება ონლაინ გაკვეთილებს, საშუალოდ 18 მოსწავლიდან 12-13 მოსწავლე სისტემატიურად ახერხებს ჩართვას, ხან უფრო ნაკლები.**

**მინდა აღვნიშნო დისტანციური სწავლების დადებითი მხარეები: ხელს უწყობს მოსწავლეების და მასწავლებლების ცოდნის გაზიარებას; მოსწავლეს შეუძლია დავალების შესრულება მისთვის ხელსაყრელ დროს; რესურსების მრავალფეროვნება და ვირტუალური გარემო ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას; ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობას; გამარტივებულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა;**

დისტანციურ სწავლებას, მოგეხსენებათ, უამრავი ხარვეზი ახლავს თან: „გესმით ჩემი ხმა?", ,,შემოხვედით?" - ყველაზე ხშირად ამ სიტყვებს ვიმეორებ, როცა ვირტუალურ საკლასო ოთახში ჩემს მოსწავლეებს ვესაუბრები.

,,მიკროფონი გამითიშა ვიღაცამ მას"... ,,გაჭედა, სულ მიჭედავს", თქვენი ხმა, მას, ნაწყვეტ -ნაწყვეტ ისმის და ვერ გავიგე რა მკითხეთ", ,,არ გამოგვრთოთ, ცოტას ვილაპარაკებთ", ,,დრო გამეპარა", ,,პროგრამა მაგდებს", ,,პოვერ-პოინტ არ მაქვს ჩამოტვირთული, დავალებას ვერ შევასრულებ", ,,ლინკი არ იხსნება", და ა.შ.

***კითხვაზე, თუ რამდენად ხარისხიანია დისტანციური სწავლებით მიღებული ცოდნა და ჩაითვლება თუ არა პროგრამა სრულყოფილად გავლილად, რაც სემესტრის დახურვის შესაძლებლობას მოგვცემს, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად პასუხისმგებლობით მოვეკიდებით თითოეული ჩვენთაგანი ჩვენს მოვალეობას(მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი).***



დისტანციური სწავლების ერთ-ერთი და ასევე უმნიშვნელოვანესი რგოლი მშობლები არიან, რომელთა მოთმინებაზე, მოქნილობაზე, მოხერხებულობაზე, სიძლიერესა და ნერვებზეც გადის ეს პროცესი. მათ დიდ ნაწილს აქამდე სრულიად უცნობ ტექნოლოგიურ საკითხებში გარკვევა მოუწია. მათი უმეტესობა კი ისევეა ჩართული საგაკვეთილო პროცესში, როგორც თავად მოსწავლეები, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. თითოეული მათგანი შეძლებისდაგვარად ერგება ახალ რეალობას.

მე, როგორც მშობელი, რა თქმა უნდა, თვალყურს ვადევნებ ჩემი შვილების დისტანციურად სწავლების პროცესს, და საჭიროების შემთხვევაში ვეხმარები კიდეც, თუმცა დიდი აქტიურობით არ ვარ ჩართული იქიდან გამომდინარე, რომ უკვე დიდები არიან და თითქმის დამოუკიდებლად ართმევენ თავს მიღებულ დავალებებს. მათი გაკვეთილების ნაწილი ვიდეოზარების საშუალებით მიმდინარეობს, პედაგოგების უმრავლესობა ზუმის პროგრამით სარგებლობს, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესიც შედარებით გამარტივებულია. მე კმაყოფილი ვარ ჩემი შვილების პედაგოგების მუშაობით და დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს.

დღის განმავლობაში ორი, 40-წუთიანი გაკვეთილები გვაქვს. ეს დრო საკმარისი არაა სრულფასოვანი გაკვეთილების ჩასატარებლად, მაგრამ ალტერნატიული გზა ამ ეტაპზე არ არსებობს. ონლაინ სწავლება, რა თქმა უნდა, ახლოს ვერ მოვა იმ შედეგთან, რაც ტრადიციულ სწავლებას მოსდევს, მაგრამ, მგონია, რომ მშობლების და მასწავლებელის ერთობლივი მუშაობით, მოსწავლეთა აქტიურობით, მიმდინარე სემესტრს დავხურავთ. დაწყებით კლასებში ეს შესაძლებელია, მაგრამ მაღალ კლასებში ასეთი სწავლებით სემესტრის სრულფასოვნად გავლა ცოტა რთულად მიმაჩნია. მასწავლებლებსაც მიღებული გვაქვს მითითება, რომ ბავშვები მეტისმეტად არ გადავტვირთოთ და მაქსიმალურად შევეცადოთ, რომ სემესტრის პროგრამა დავაძლევინოთ.

რაც შეეხება სასწავლო წლის დასასრულს მოსწავლეთა შეფასებას, ამ ეტაპზე ვიყენებთ მხოლოდ განმავითარებელი შეფასებას, ახალ ინსტრუქციებს შეფასებასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროდან ველოდებით უახლოეს მომავალში.

**მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

# აქ არც მზე და არც მთვარე არ მეჩემებოდა, ჰაერიც სხვანაირი იყო....



მსოფლიო პანდემიამ განსაკუთრებული ზიანი ევროპის ქვეყნებს,მათ შორის იტალიას მიაყენა,რომელიც დიდხანს იყო წითელ ზონად გამოცხადებული. ამ ქვეყანაში ჩვენი უამრავი თანამემამულე ცხოვრებს,მათ შორის თანაქალაქელებიც. დღეს თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ქალბატონ ლაურა ემრაშვილზე,რომელიც მამის,ცნობილი ექიმის,ლავრენტი ემრაშვილის კვალს გაყვა,ექიმად მუშაობდა ჩვენს რაიონში ათეული წლები,მაგრამ მაინც მოუწია ემიგრაციაში წასვლა და დღეს მილანის ერთერთი კლინიკის ექიმია. მან ახალი კორონა ვირუსი იტალიის წითელ ზონად გამოცხადების პერიოდში მოიხადა,დანარჩენს ლაურა ექიმი თავად მოგვიყვება,მათ შორის განვლილ წლებზე და გზას მოხუცის მომვლელობიდან ექიმობამდე:

***გამარჯობა ჩემო მონატრებულო საქართველო! დავტოვე სამშობლო 10 წლის უკან... ალბათ არა ბედნიერი ცხოვრების მოსაძებნად, არამედ იმ ყოველდღიური პრობლემების გამო, რასაც ვერ ვერეოდით ჩემი, ქართველი ექიმის შემოსავლით.... საშინლად მახსენდება პირველი დღეები, პირველი თვეები, პირველი წელი.... უსაბუთო, იტალიური ენის უმნიშვნელო მარაგით და უცხო მიწაზე....ვუვლიდი ლოგინად ჩავარდნილ ადამიანს, არ მესმოდა მე მისი და მას ჩემი.... აქ არც მზე და არც მთვარე არ მეჩემებოდა, ჰაერიც სხვანაირი იყო....მოკლედ ეს ის პერიოდია ყველა ემიგრანტმა რომ უნდა გადაიტანოს. ერთ წელში გავაკეთე საბუთი, ცხოვრების და მუშაობის უფლებით, ენაც შევისწავლე, მარტივი სასაუბრო ენა, მაგრამ უკვე იმედიანად ვიყავი... მონატრება ჩემი ოჯახის და საახლობლოსი გაუსაძლისი გახდა, და ამიტომაც პირველი რაც გავაკეთე, დავბრუნდი საქართველოში 2 თვით, არ მოგატყუებთ რომ აღარ მინდოდა უკან დაბრუნება, მაგრამ დარჩენა საქართველოში, იგივე პრობლემებს მპირდებოდა, რაც მანამდე მქონდა.***

2013 წელს გავუკეთე საბუთები მეუღლეს და შვილს, ჩამოვიყვანე ჩემთან, მაგრამ არც ეს გამოდგა ადვილი. მე ვმუშაობდი მოხუც ქალბატონთან, სადაც ვცხოვრობდი დღეც და ღამეც, ჩემს ქმარ-შვილს კი ცალკე საცხოვრებელი პატარა ერთ ოთახიანი ბინა შევუძინე, ბანკის სესხით,( ალბათ ამას საქრთველოში უამრავი წელი დასჭირდებოდა). ნიკა, ჩემი შვილი, შევიყვანე მილანის ერთ-ერთ კოლეჯში, ძნელი გზა გაიარა ენის არმცოდნემ, გარდატეხის ასაკში, მაგრამ ის ნამდვილი ქართველი ბიჭია, ამაყი და მართალი, ერთ წელში ენაც აითვისა უმაღლეს დონეზე და დაიმკვიდრა თავისი ადგილი პროფესორ-მასწავლებლებთან და თანატოლებთანაც.. მან წარმატებით დაამთავრა ინდუსტრიულ-ტექნიკური ინსტიტუტი ინფორმატიკის სპეციალობით, თუმცა აქაც იმუშავა გენეტიკამ და ახლა აბარებს სამედიცინო უნივერსიტეტში...

ახლა ორიოდე სიტყვით ჩემს შესახებ: 2018 წელს ჩავირიცხე მილანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო-ქირურგიულ ფაკულტეტზე, რასაც დავამთავრებ ალბათ უახლოეს თვეებში, ვამუშავებ სადიპლომო თემას და გზად მომისწრო ამ ახალმა და ჯერ კიდევ ამოუცნობმა ვირუსმა: დავინფიცირდი Covid-19 ით, ერთ-ერთ საავადმყოფოში პაციენტისგან, ჩემი წინასაექიმო პრაქტიკის დროს.

სრულიად ჯანმრთელს, ერთ დილას მეღვიძება მაღალი სიცხით -39,8. საოცარია, სხვა ჩივილი არ მაქვს, მხოლოდ მამცივნებს. დავლიე სიცხის დამწევი, დავრეკე კლინიკაში, შეუძლოდ ვარ, ვერ გამოვცხადდები-თქო და მშვიდად ველოდები სიცხის დაწევას.... სიცხე კი ისევ მაღალი რჩებოდა, დაერთო შაბათ-კვირაც, გავიდა ამასობაში რამოდენიმე დღეც, 24 საათიდან მეძინა დაახლოებით 22 საათი. სიფხიზლის 2 საათის განმავლობაში, სოციალურ ქსელში ვდებდი რაღაც ინფორმაციას, რათა ახლობლები არ მენერვიულებინა. მოკლედ, სხეულის ტემპერატურა მაქვს 39,8 უკვე მეექვსე დღეა, ვრეკავ სასწრაფო გადაუდებელ დახმარებაში, ვაწვდი ჩემს ინფორმაციას და ასეთია პასუხი: ქალბატონო, დაუკავშირდით ოჯახის ექიმს, ჩვენ მოვალთ, როცა დაგეწყებათ სუნთქვის გაძნელებაო...

**გავგიჟდი, თავი სიზმარში მეგონა, დახმარებას ვითხოვდი და.... ვხვდებოდი, რომ ვკვდები, ძალა გამომეცალა, ამასობაში დაიკეტა ის კლინიკაც ვირუსის გამო და უკვე გამოუვალ მდგომარეობაში, დარწმუნებულმა, რომ მე ნამდვილად Covid19 მქონდა, დავურეკე ჩემს უახლოეს ქართველ(კახელ) ექიმს, რომელიც იტალიის სხვა რეგიონში, უკვე მოქმედი ექიმია... რომ არა ჩემი ხათუნა ექიმი, (მისი დანიშნულებით) და ჩემი შვილი ნიკა(ამ წამლების შეძენა ურეცეპტოდ იტალიის აფთიაქებში წარმოუდგენელი იყო). როგორც კი დავიწყე მკურნალობა,მაშინვე ვიგრძენი, რომ სიცოცხლეს შევძლებდი... უბნის ექიმმა უკვე მომიკითხა იმ დროს, როცა ნამდვილად აღარ მჭირდებოდა, მაგრამ ზრდილობის და კოლეგიალობის გამო, მაინც ვპასუხობ მის ზარებს დღემდე... ვიდრე საბოლოოდ არ გამოვკეთდები...**

შორიდან ვადევნებ თვალს ქართველ ექიმთა თავგანწირვას. აქ არ ვსაუბრობ იმაზე, თუ მკურნალობის რა მეთოდს, ან რა მედიკამენტებს იყენებენ, (ეს გახდა ზუსტად ქართველი მედიკოსების, ჩვენი ძვირფასი კოლეგების სალანძღავი თემა, რაც კოლეგებისგან ნამდვილად მიუღებელია, რჩევა შესაძლებელია ცივილური და არა დამამცირებელი ფორმით, ) რადგანაც როგორც ჩემი სულმნათი მამა, ჩემთვის უდიდესი ექიმი იტყოდა: "არანაირი პროტოკოლი არ დაგეხმარება ავადმყოფის მკურნალობაში ისე, როგორც საკუთარი ინტუიცია და გამოცდილება, რადგანაც თითოეული პაციენტის საწოლთან, ექიმი თვითონ ადგენს მისი მკურნალობის გეგმასო!" ეს არის ჩემთვის ყველაზე ღირებული რჩევა დღემდე,რასაც არასოდეს ულალატია!



მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ასეთ უდიდეს ყურადღებას იჩენს თითოეული ადამიანის მიმართ, სულ უმნიშვნელო ჩივილის შემთხვევაშიც კი, ზუსტად ესაა მიზეზი იმ მცირე სიკვდილიანობის, რადგანაც დროულად ხდება ვირუსის მოქმედებისას ორგანიზმის თანმხლები სიმპტომების კონტროლი და კორეგირება, რაც სიკვდილის უხშირესი და ძირითადი მიზეზია... ეს ქართული ყურადღება მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც რომ გამოეყენებინათ, სიკვდილიანობა ალბათ ბევრად ნაკლები იქნებოდა... ამას საკუთარი გამოცდილება მალაპარაკებს... გეხვეწებით ყველას– ჩემიანს, ნაცნობს, უცნობს, დაიჯერეთ, არსებობს ეს ვირუსი, მაგრამ შესაფერისი მიდგომების, პროფილაქტიკის და მკურნალობის შემთხვევაში არაა მკვლელი... ვირუსი არ კლავს, კლავს თანმხლები პათოლოგიური სიმპტომები და უყურადღებობა.... თქვენ გაგიმართლათ, ჩემო ქართველებო ,რადგანაც ქართველი ექიმები მუშაობენ ტვინით, გულით და რწმენით... ჯანმრთელობას გისურვებთ ყველას, მიყვარხართ, მეამაყებით ....

P.S. აიმაღლეთ იმუნური სისტემა, მიიღეთ სითხეები დიდი რაოდენობით, ძილი და ღვიძილი ერთმანეთს შეუხამეთ, დღე-ღამის რიტმში ეცადეთ, თავი აარიდოთ უსიამოვნო სიტუაციებს, (ეს არც თუ ისე იოლია) რადგანაც სტრესული სიტუაციები საუკეთესო საშუალებაა ვირუსის გაფურჩქვნისთვის ჩვენს ორგანიზმში... ბოლო წლების უმძიმესმა სტესმა ჩემი იმუნიტეტი გაანადგურა, შედეგი კი საკუთარ თავზე გამოვცადე...

ინტერვიუს დასრულების შემდეგ სატელეფონო საუბარი გავაგრძელეთ, სადაც ბევრი სასიამოვნო ინფორმაცია შევიტყვე ლაურას ვაჟის– ნიკას შესახებ, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტში აბარებს და გადაწყვეტილი აქვს, პროფესიული პრაქტიკის შემდეგ, ყოველ წელს ჩამოვიდეს საქართველოში და უფასოდ გაუწიოს შესაბამისი დახმარება ქართველ პაციენტებს. მან ორი წლის წინ თბილისიდან მილანში ჩაიყვანა შეყვარებული და მშობლებს წარუდგინა. შეიქმნა კიდევ ერთი, სიყვარულზე აგებული ქართული ოჯახი.

ლაურა ემრაშვილი იმ ქართველი ემიგრანტის სახეა, რომელმაც ენობრივი თუ მენტალური ბარიერების მიუხედავად, ყველა სიძნელე ქართული შეუპოვრობით დაძლია და უცხო ქვეყანაში წარმატებას მიაღწია. ჯანმრთელობას და წარმატებულ წლებს ვუსურვებთ ქართულ ოჯახს იტალიის მიწაზე.

**ესაუბრა**
ელზა ხარაშვილი

# იტალიაში მიგრანტებს დროებით ლეგალურად ცხოვრებისა და შრომის უფლებას მისცემენ

იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებით, იმ მიგრანტებს, რომლებსაც ქვეყანაში ლეგალურად მუშაობისთვის საჭირო დოკუმენტები არ გააჩნიათ და რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობასა, თუ ოჯახებში დამხმარეებად, დროებით ლეგალურად შრომის უფლებას მისცემენ. ამ უფლებით, მათ შორის, ქართველი ემიგრანტებიც ისარგებლებენ.

იტალიის მთავრობის ეს გადაწყვეტილება იქიდან გამომდინარეობს, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე, არალეგალურად დასაქმებულმა მიგრანტებმა სამედიცინო ხარჯების კუთხით ჯანდაცვის სისტემის შეღავათებით სარგებლობა შეძლონ.

**"ჩვენ დანაშაულთან ბრძოლაში მნიშვნელოვან შედეგზე გავედით და წერტილი დავუსვით დასაქმების შავ ბაზარს",** - თქვა იტალიის პრემიერმინისტრმა, ჯუზეპე კონტემ, პრესკონფერენციაზე.

კონტეს განმარტებით, ამ კრიზისის დროს მიგრანტი დასაქმებულები „მისაღები დონის ჯანდაცვას“ მიიღებენ.

იტალიური მედიის ცნობით, ახალი წესები იმ უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც იტალიაში 2020 წლის 8 მარტამდე შევიდნენ, აძლევს უფლებას, რომ შეავსონ განაცხადი იტალიაში 6 თვით ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად, რომელიც როგორც მედია წერს, ავტომატურად გარდაიქმნება მუშაობის უფლებაშიც და სოფლის მეურნეობასა, თუ საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს მიეცემათ უფლება, ლეგალურად იცხოვრონ და იმუშავონ იტალიაში და ჰქონდეთ წვდომა ჯანდაცვის სისტემის შეღავათებზე.

იტალიური მედიის, The Local-ის ცნობით, იტალიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ტერეზა ბელანოვამ, ამ გადაწყვეტილების გამოცხადების დროს იტირა.

**„დღეიდან უხილავები ნაკლებად უხილავები იქნებიან. დღეიდან სახელმწიფო იმარჯვებს, რადგან ის უფრო ძლიერია, ვიდრე დანაშაული და ექსპლუატაცია",** - თქვა ბელანოვამ, რომელიც შრომითი უფლებების დაცვის კამპანიის მხარდამჭერია.

# ცისკარაულები - სიკეთისათვის



***ამ დღეებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახლადშექმნილი შპს „გუთანის“ ერთ-ერთ დამფუძნებელთან ხვთისო ცისკარაულთან მქონდა საქმიანი ურთიერთობა. ხვთისო, რომელსაც უმრავლესობა ბავშვობის დროინდელ მეტსახელს „ნამცეცას“ ეძახის, ერთი მშრომელი, გულიანი, კეთილი და ცხოვრებაზე შეყვარებული ახალგაზრდა კაცია.*** სამი ძმა და ერთი და იზრდებოდა მის ოჯახში, ამიტომ მალევე მიხვდა, რომ ცხოვრების გზის გაკვალვა საკუთარი შრომით და უნარით უნდა მოეხერხებინა. ტექნიკისკენ გაურბოდა გული და თხუთმეტი წლისაც არ იყო, სახნავსა თუ სათესს, ფარცხსა თუ კულტივატორს, ტრაქტორსა თუ კომბაინს რომ „დაუძმაკაცდა“ და ოცნებად გაიხადა, სრულყოფილად დაუფლებოდა მათ მართვას. შემდგომ, ახალი ცხოვრების შესაბამისად, ოცნებებმაც სხვა მიმართულება მიიღო: კერძო საკუთრების სურვილმა და აუცილებლობამ ჯერ ტრაქტორი და გუთანი მოიტანა, შემდგომ სოფლის მეუნეობისათვის საჭირო სხვადასხვა იარაღები, მიწა იჯარით, მიწა საკუთრებაში... ასე თანდათან, მინდორში დაღამებული დღეებითა და გათენებული ღამეებით, ჯაფით და ოფლით შეიქმნა ყველაფერი ის სიკეთე, რითაც თავადაც სარგებლობს და სხვებსაც უდგას მხარში. დღეს, ხვთისოს გამართული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა აქვს და ამაყია, რომ საკუთარი შრომით შექმნა ეს ყველაფერი. მერე ერთი მშვენიერი ქალბატონიც გაჩნდა მის ცხოვრებაში, ჯერ ილია დაემატა ოჯახს, სულ მალე კი ანდრია, რომელიც, სულ რაღაც წლინახევრისაა, მაგრამ თავის უფროს, სამი წლის ძმასთან ერთად, ხშირად ემგზავრებიან მამას მინდვრის გზაზე, რადგან მამას მიაჩნია, რომ შვილებმა ადრიდანვე უნდა გაიგონ, ნახონ და შეისისხლხორცონ ის საქმე, რასაც მამა ემსახურება. არ უყვარს ნამცეცას ზარმაცი ადამიანი, ნამცეცაზე საუბარი ცოტა გაგვ იგრძელდა, მაგრამ ეს იმ მთავარი სათქმელის ნაწილია, რის თქმასაც ამ წერილით ვაპირებ თქვენთვის, ძვირფასო მკითხველო. სწორედ ხვთისოსთან საქმიანი შეხვედრის დროს, სრულიად შემთხვევით, მისი სატელეფონო საუბრისას გავიგე, რომ ცისკარაულები საქველმოქმედო აქციის ორგანიზებას აპირებდნენ. ეს იდეა კი ერთ საღამ ოს ომარ ცისკარაულის ოჯახში ვახშმობისას დაიბადა. კორონავირუსით სახლებში გამოკეტილ, ისედაც გაჭირვებულ ადამიანებს უფრო გაუჭირდათ, ოჯახის საჭიროებისთვის მცირე, ან სულაც არარსებული დანაზოგები ამოიწურა, ასეთ დროს კეთილშობილ და ჰუმანურ ადამიანებს სხვისთვის ლუკმის გაყოფის და თანადგომის სურვილი უჩნდებათ. ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი სიმდიდრე, ამისთვის კეთილი ნებაა მთავარი. ჰოდა, ეს კეთილი ნება გაჩნდა იმ საღამოს ომარ ცისკარაულის ოჯახშიც: „ცისკარაულები- სიკეთისთვის!“ საქმის ორგანიზება ომარის ქალიშვილს მაია ცისკარაულს დაევალა. მან შეაგროვა ამ საქმეში მონაწილეობის მსურველები, თავი მოუყარა ფინანსებს და შესაძლებლობებს, მოიძია მარჩენალდაკარგული გაჭირვებული ოჯახები და კეთილი საქმეც შედგა - საკმაოდ მსუყე სამომხმარებლო კალათით მათ რვა ოჯახი გაახარეს: თითო ტომარა ფქვილი სწორედ ზემოთხსენებულმა ხვთისო ცისკარაულმა ითავა, დანარჩენი- შაქარი, ბრინჯი, მაკარონი, ტომატი, ხორცის კონსერვები, შედედებული რძე, არაჟანი, ზეთი, ლობიო, შვრიის ფანტელი, კანფეტები, ყავა, ლიმონათი, საპონი, ასანთი კი ცისკარაულებში შეგროვილი თანხით შეიძინეს. ეს პროდუქტები ამ ოჯახებს კარგა ხანს ამოეშველება, მაგრამ დაულეველი არაფერია და როდესაც პროდუქტები გათავდება, ამ დღეების სამახსოვროდ დარჩება პოლიეთილენის პაკეტები წარწერით - „ცისკარაულები - სიკეთისთვის!“

* * *

***ძვირფასო მეგობრებო, ამბობენ, სიკეთე გადამდებიაო, მე ვისურვებ ცისკარაულებს სხვა გვარებმაც მიბაძონ. ძალა ერთობაშია და ერთიანი ძალისხმევით ყველა სიძნელე და გაჭირვება დაიძლევა. ადამიანებს ცოტა სჭირდებათ ბედნიერებისათვის, ეს ბედნიერება კი თითოეული ჩვენგანის ხელშია. მაშ ასე, იწყება მარათონი „გვარები სიკეთისათვის“. საინტერესოა, ვინ იქნება შემდეგი!? მიიღეთ გამოწვევა და გამოგვეხმაურეთ.***

ნაირა გორაშვილი



# უანგაროდ გაღებული სისხლი

მსოფლიოსთვის მოულოდნელად თავსდამტყდარმა მტერმა კორონავირუსმა ბევრი საზრუნავი გაუჩინა ადამიანებს- ეკონომიკური, ფიზიკური, მორალური მხარშიდგომა იზოლაციაში გამომწყვდეულებისთვის სასაიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა. დიდი ძალისხმევა სჭირდება მთავრობას, მედპერსონალს, პოლიციას, სასაზღვრო სამსახურს, ეპიდემიის მართვისათვის. არნახული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა გამოავლინა სრულიად საქართველომ, რომსხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებადდამაზიანებელი ყოფილიყო პანდემია, რომელმაც დედამიწა გააჩერა. სხვა პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად საჭირო გახდა სისხლის ბანკის შევსება, რისთვისაც ინტენსიური მუშაობა დაიწყო როგორც წითელმა ჯვარმა, ასევე სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებმა. 14 მაისს დედოფლისწყაროს N4 სასაზღვრო სამმართველოს თბილისის იაშვილის სახელობის კლინიკის წარმომადგენლები ეწვივნენ და სისხლის ნებაყოფლობითი ჩაბარების აქცია გამართეს. სამმართველოს ხელმძღვანელობის ორგანიზებულობის შედეგად აქციამ წარმატებით ჩაიარა: 80-მდე მესაზღვრე, როგორც რიგითებმა, ასევე ოფიცრებმა და ადმინისტრაციის წარმოადგენლებმა უანგაროდ გაიღეს სისხლი ბავშვთა გადასარჩენად. მათ პირველმა მისცა მაგალითი სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა მალხაზ ლომსიანიძემ. მათ მიერ გაცემული თითოეული წვეთი სისხლი გადარჩენილი სიცოცხლეა, რაც ასე მნიშვნელოვანი და იმედისმიმცემია ყველა იმ ავადმყოფისთვის, ვისაც ეს უცილობლად სჭირდება.

ნაირა გორაშვილი



**მონატრება**

## თამაზი (ტახა) ლომიძე



შენი დაბადების დღე 18 მაისია. შეგისრულდა 70 წელი, რომელიც უშენოდ უნდა გათენდეს. ორი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. გული დარდით,თვალები კი ცრემლებით აგვივსე. აღარაფერი დაგვრჩა შენზე მოგონებების გარდა. დღე არ გავა, რომ ოჯახში არ გახსენოთ და მონატრებით არ მოგიგონოთ. შენი ნინო და რამაზი, რძალი თამუნა და შვილიშვილები ლაშა და სანდრო სულ შენზე საუბრობენ. უძომოდ კეთილი იყავი ყველასათვის. გიყვარდა ყველა; ნათესავი, მეზობელი, შენი შვილები და შვილიშვილები. თუმცა ორი წელი გავიდა და ჩვენს ჭრილობებს განკურნებისა არაფერი ეტყობა. უშენობამ საოცარი სიცარიელე დაგვიტოვა. უფალს ვთხოვთ სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს. ავანთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი სულისთვის. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

**შენი მეუღლე** ლალი, **შვილები** ნინო და რამაზი, თამუნა, **შვილიშვილები** ლაშა და სანდრო, **შენი და** დოდო ლომიძეები.

მეზობლები: მიშა, ზურაბ, ზაზა თეთვაძეები, ზაზა ფიროსმანაშვილი, მერი ბენაშვილი, სოსო ბაგაშვილი, ჯულიეტა შანშიაშვილი, სოსო ჯანაშვილი, ნოდარ ხატიაშვილი, მიშა ტუხაშვილი, ვეფხო ლეკაშვილი, ჟუჟუნა ყოჩიაშვილი, ბესო დავითაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დალი ტარყაშვილს, მეუღლის

ბონდო ტარყაშვილის

გარდაცვალების გამო.

# ომი დამთავრდა,მშვიდობის გეშინოდეთ,ხალხო!..




გაზაფხულს უხდება წვიმა და სარკმლის წინ ჩაფიქრება. წვიმის შემდეგ ცისარტყელა-კარგი ამინდისა და იმედიანი მომავლის მაცნე. გაზაფხულის პეიზაჟით ტკბობა ფანჯრის მიღმა ცხელი ჩაის თანხლებით თუ მის გარეთ. ამისთვის, სულ მცირე, მშვიდობიანი ცხოვრების განცდაა საჭირო და კიდევ, ცხოვრება აკრძალვების გარეშე...

წვიმის შემდეგ, გაწუწული, მაგრამ ბედნიერი ჩიტების ჭიკჭიკის აკომპანიმენტის თანხლებით გასეირნებასა და ბედნიერების ჰორმონების გამოყოფას თუ გადაწყვეტთ, ეს საღამოს ცხრა საათამდე უნდა მოასწროთ, თორემ ბედნიერების განცდას კომენდანტის საათის დროს დაწესებული გვარიანი ჯარიმა ჩაგიმწარებთ. ეს ხომ ახალი, კორონავირუსული რეალობაა.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული.

მით უფრო დაუპატიჟებელი სტუმრის ვიზიტს. მნიშვნელობა არა აქვს, ბოროტია ის თუ კეთილი.

უჩინარი მტერი, როგორც ჩანს ომით დაიღალა, ანდა ნადავლით კმაყოფილია და გაცლა გადაუწყვეტია. ის უკან იხევს-ექიმებიც და ფაქტებიც ამას ამბობენ. მაგრამ ყველა ვირუსი, რომელიც ბრძოლის ველს ვაქცინის შექმნამდე ტოვებს, უკან აუცილებლად ბრუნდება, ისევე, როგორც ნებისმიერი დამნაშავე უბრუნდება დანაშაულის ადგილს.

ამის შესახებ ლაპარაკობენ მედიკოსები. ამის თაობაზე წუხან პოლიტიკოსები. უხილავი მტერი დღეს ყველაზე საშიშია და ამიტომ ყველაზე აქტუალურიც.

ახალი კორონავირუსი ერთადერთი არაა. მისი წინამორბედნიც ასეთივე ბუნებით და ბრძოლის მეთოდებით გამოირჩეოდნენ. ისტორია კი თითქმის ყოველთვის მეორდება. შავი ჭირის ეპიდემიის დროს ადამიანები მთებში, ნაკლებად დაუსახლებელ ადგილებში გარბოდნენ და ამ სტრატეგიით ცდილობდნენ გადარჩენას. დიახ, ემალებოდნენ ეპიდემიის გამომწვევს. დღეს ჟამიანობას სახლებში გამოკეტვითა და ურთიერთობების აკრძალვებით ვებრძვით.

„პანდემია რომ დაამარცხო, უნდა დაამარცხო შიში"- წერდა ავიცენა.

შიშის დაძლევა საუკეთესო საშუალებაა პანდემიის დასამარცხებლად, თუმცა, იარაღის გარეშე ძნელია ნებისმიერ მტერთან გამკლავება. აქამდე უხილავ მტერთან ბრძოლის ყველაზე მართებული საშუალება სოციალური დისტანცირება იყო. როგორც ჩანს, ვაქცინის შექმნამდე კვლავ პირბადისა და ხელთათმანის იმედად მოგვიწევს ცხოვრება.

„სოციალური დისტანცირება და „დარჩი სახლში" ყველაზე მოარული სლოგანი გახდა, რომელიც ჩემი აზრით, მალე უნდა შეიცვალოს მეორე სლოგანით - „ვისწავლოთ თანაცხოვრება კორონავირუსის ინფექციასთან ერთად!"-ამბობს ამირან გამყრელიძე და დასძენს:

„ეს კი ნიშნავს პირბადის ტარებას დახურულ შენობებში და დისტანცირებას მთელი წელი!"

ეს დიდად არაფრით განსხვავდება ახლანდელი რეალობისგან.

მაგრამ, ეს მტერთან გამკლავების ერთადერთი საშუალებაა. ყოველ შემთხვევაში, ასე გვმოძღვრავენ ეპიდემიოლოგები. ისინი სტატისტიკას იშველიებენ და გვაუწყებენ, რომ კოვიდ-19-მა მსოფლიოში 330 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ეს ჩვენი არჩევანია. ახალი კორონავირუსის გავრცელების პიკი ციცაბოდ განვითარდება, თუ დარჩება პლატოდ და მალე დაიწყებს დაღმასვლას.

„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!"-ბერტოლდ ბრეხტის ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია.

ადამიანის ყოველი დღე ხომ ქაოსი, კონფლიქტი, კონკურსი და ბრძოლაა, თვით სიტყვა „მშვიდობას"კი ომის სურნელი გასდევს (ჯორჯ ორუელი). ომის შემდგომი პერიოდიც ბრძოლის გაგრძელებაა. ჟამი, როდესაც ადამიანებმა უხილავ მტერთან ბრძოლის სტრატეგიასთან ერთად ბრძოლის ველზე დაღუპული თუ დაჭრილი ეკონომიკის, დაზარალებული მოსახლეობისა და ბევრის დანგრეული ფსიქიკის აღდგენის გეგმის შემუშავებაზე უნდა იზრუნოს.

ინგა შიოლაშვილი

## ულოცავენ!

### მარინა ღვინიაშვილს!

ძვირფასო მარინა,გილოცავ დაბადების დღეს 21 მაისს!

ჩვენი ქალაქის პროფესიონალი, ცნობილი ექიმების- ბატონ ვასო ღვინიაშვილის და ქალბატონ ეთერ მურღულიას განსწავლული მშობლების მიერ აღზრდილი გოგონა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდით სიკეთით, კაცთმოყვარეობით, ტოლერანტობით, ალბათ,ამიტომაც აირჩიეთ დედ-მამის პროფესია. თქვენი ხავერდოვანი ხმით, თბილი დამოკიდებულებით და პროფესიონალიზმით თავიდანვე უმსუბუქებდით ავადმყოფებს ტკივილს. გუშინდელ დღესავით გვახსოვს დ/წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თქვენი ნაქარგების პერსონალური გამოფენა, რამაც დიდი გაოცება და აღფრთოვანება გამოიწვია დამთვალიერებლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხართ ერთგული მეუღლე და წარმატებული შვილების დედა.მთელი კახეთი ამაყობს ირაკლის და ზურას მიღწევებით. ღმერთმა ქვეყანას უმრავლოს შიოლაშვილისნაირი ახალგაზრდები და მათი აღმზრდელები.

**საუკეთესო სურვილებით და ულრმესი პატივისცემით უახლოესი მეგობრების სახელით ნინო ფიროსმანაშვილი,ელენე ბაიაშვილი,მარინა ხარაშვილი,თამრიკო ჯანიაშვილი, ლენა ღარიბაშვილი, ნათელა ბოსტაშვილი, ნათელა გელაშვილი, ნანა ჭიჭინაძე**

### ვაჟა მამაიაშვილს!

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეულ ნიკო მამაიაშვილის ერთადერთ მემკვიდრეს, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს მეღვინეობის დარგში, მევენახეობის და მეღვინეობის მსოფლიო ასოციაციის წევრს ხმის უფლებით, „საუკეთესო ადამიანის" ნომინანტს ბატონ ვაჟა მამაიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს - 9 მაისს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სიხარულსა და ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

**პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით:**

ფიქრია ალიკოშვილი, თამაზ კობაიძე, ვახუშტი ქიზიყურაშვილი, გოდერძი გონაშვილი, სოსო თევზაძე, ილო თუშიშვილი, ნიკოლოზ ბენიაიძე, იაგო ყორჩიაშვილი, ლერი და მარლენ კვაჭანტირაძეები.

## პარლამენტი საკონსტიტუციო განხილვებს იწყებს

საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს პარლამენტი პირველი მოსმენით პლენარულ სესიაზე 21 ივნისს გაიტანს. ამის შესახებ განცხადება პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ გააკეთა. „საგანგებო მდგომარეობა დასრულდება 22 მაისს, რაც იმას ნიშნავს რომ განახლდება საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა. ამ ყველაფერს დასჭირდება ერთი თვე. კერძოდ, ჩვენ გვექნება საშუალება, რომ 21 ივნისს პირველი მოსმენით მივიღოთ საკონსტიტუციო ცვლილებები და 29 ივნისს უკვე შეგვიძლია, სამი მოსმენით დავასრულოთ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება. შესაბამისად, ჩვენი ვალდებულება, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს შორის გაფორმებული შეთანხმებით არის ნაკისრი, უკვე სრულად შესრულდება ივნისის ბოლოს. რაც შეეხება ოპოზიციის პოზიციას, ეს არის რბილად რომ ვთქვათ უპასუხისმგებლობა და იმ შეთანხმების უხეში დარღვევა, რომელიც ჩვენ ერთად გავაფორმეთ 4 ელჩის თანდასწრებით. ბუნებრივია, ამას ვერ ექნება ვერავითარი გამართლება და მე მათ ვურჩევ, შეეშვან სპეკულაციებს და შეასრულონ ეს ვალდებულება, რომელიც არის ნაკისრი მათ მიერ შეთანხმებით", - განაცხადა კობახიძემ.

## იყიდება!

**იყიდება ფუტკრის 53 მოქმედი ოჯახი ვაგონით და თაფლით სოფელ გამარჯვებაში.
ტელეფონი: 599 00 79 52**

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 18.05 დღე | ორშაბათი 18.05 ღამე | სამშაბათი 19.05 დღე | სამშაბათი 19.05 ღამე | ოთხშაბათი 20.05 დღე | ოთხშაბათი 20.05 ღამე | ხუთშაბათი 21.05 დღე | ხუთშაბათი 21.05 ღამე | პარასკევი 22.05 დღე | პარასკევი 22.05 ღამე | შაბათი 23.05 დღე | შაბათი 23.05 ღამე | კვირა 24.05 დღე | კვირა 24.05 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18° | 15° | 20° | 11 ° | 21 ° | 12 ° | 27 ° | 15 ° | 26 ° | 15° | 24 ° | 15 ° | 16 ° | 9 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.